ხელშეკრულება № 54 / 23

ქ. ზუგდიდი 29 " თებერვალი " 2016წ.

შ.პ.ს „ზუგდიდექსპერტიზა" მისი დირექტორი ზურაბ ბერულავას სახით, შემდგომში „შემსრულებელი" ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს ს/კ „ ზუგდიდი" მისი დირექტორის გელა ინალიშვილის სახით, შემდგომში "დამკვეთი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესრულების ვადები.

1.1 **"დამკვეთი" ავალებს , ხოლო შემსრულებელი კისრულობს ჩააგაროს შემდეგი სახის მომსახურება:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩხორიის საფეხბურთო სტადიონის შენობა-ნაგებობის, კერძოდ აღმ. შენობისა და ტრიბუნის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა..

1.2 **მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება:** 2016 წლის 29 თებერვლიდან 2016 წლის 30 მარტამდე.

2. მხარეთა მოვალეობები და უფლებები.

2.1 „შემსრულებელს" უფლება აქვს ჩააბაროს დასრულებული სამუშაო, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე აღრე.
„შემსრულებელი" ვალდებულია ტექნიკური დოკუმენტაცია მოამზადოს სამ ეგზემპლარად და მომსახურების ვადის ბოლოს, ორი ეგზემპლარი ჩააბაროს „დამკვეთს".

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1 მომსახურების ღირებულება: 200 (ორასი) ლარის ოდენობით დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.2 მომსახურების ღირებულების დაფარვა „დამკვეთმა" უნდა მოახდინოს „შემსრულებლის" მიერ სამუშაოს შესრულებიდან (მომსახურეობის ჩაბარებიდან) 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა.

4.1 ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინასწარ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტს.

4.2 „დამკვეთის" მიერ ხელშეკრულების შეჩერების შემთხვევაში იგი ვალდებულია „შემსრულებელს" აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

4.3 „დამკვეთის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი „შემსრულებელს" პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის 1 %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.4 „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელს" ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „დამკვეთთან" დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

5 ფორს-მაჟორული გარემოებები.

5.1 შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან, მხარეები თავისუფლდებიან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს- მაჟორული გარემოებით,კერძოდ: ომით, ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით ან სხვა სტიქიური უბედურებით, თუ ამ გარემოებებმა უშუალოდ გავლენა მოახდინა ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაგანა ფორს-მაჟორული გარემოების შეწყვეტამდე. გარემოების ზემოქმედების შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ მათი დადგომიდან 10 დღის განმავლობაში

6 .დავის გადაწყვეტა.

6.1 მხარეებს შორის სადავო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

7. დამატებითი პირობები.

7.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
7.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

„შემსრულებელი"

შ.პ.ს. „ზუგდიდექსპერტიზა"
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №93
ს/კ №220002128

„სს ლიბერთი ბანკის" სამეგრელოს
რეგიონალური ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE93LB0113140929712000

დირექტორი
ზ. ბერულავა

„ დამკვეთი"

შპს ს/კ „ ზუგდიდი"
ქ. ზუგდიდი, მცხეთის ქ. № 17
ს/კ 220370738

დირექტორი
გ. ინანიშვილი